ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

N 02/3842
24/08/2016

3842-02-2-201608241730

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ქრისტინა შონიას

ქალბატონო ქრისტინა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 23 აგვისტოს შემოსული თქვენი წერილის პასუხად გეგზავნებათ შემდეგი ინფორმაცია:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში 2013 წლიდან დღემდე განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებია:

2013 წ.- საბავშვო ბაღის შენობის რემონტი (განხორციელებულია).

-შიდა გზების მოხრეშვა (განხორციელებულია).

-სამელიორაციო არხების ამოწმენდა ხვიჩიების უბანში (განხორციელებულია).

-სამელიორაციო არხების ამოწმენდა გაბისონიების უბანში (განხორციელებულია).

2014წ.-არსებულ ამბულატორიასთან მისასვლელი გზისა და ეზოს შემოკავების მოწყობა (განხორციელებულია).

-სამელიორაციო არხების ამოწმენდა შენგელიების უბანში (განხორციელებულია).

-სამელიორაციო არხის გათხრა (განხორციელებულია).

-შიდა გზების რეაბილიტაცია (განხორციელებულია).

-ავარიული ადმინისტრაციული შენობის რემონტი(განხორციელებულია).

2015 წ.-საბავშვო ბაღის ტერიტორიის შემოკავება (განხორციელებულია).

-საბავშვო ბაღის ტერიტორიის მეორე სართულზე სველი წერტილის მოწყობა (განხორციელებულია).

-სამელიორაციო სამუშაოები, სანიაღვრე არხების ამოწმენდა შენგელიების და ჭაფანძეების უბანში (განხორციელებულია).

-სანიაღვრე არხების ამოწმენდა ბერანძეების უბანში და ცხაურების მოწყობა (განხორციელებულია).

-გზის რეაბილიტაცია (განხორციელებულია).

2016 წ.-სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა (მიმდინარეობს სამუშაოები).

-შიდა გზების რეაბილიტაცია (გამოცხადებულია ტენდერი).

-შიდა გზების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)(გამოცხადებულია ტენდერი).

-სამელიორაციო არხების რეაბილიტაცია (გამოცხადებულია ტენდერი).

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com

განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში 3 კმ. და 700 მ. მანძილზე გაყვანილია გაზსადენი და გაზიფიკაციის სამუშაოები უნდა დამთავრდეს 2017 წელს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას, აღნიშნულ პერიოდში განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულს ელ. ენერგია მიეწოდება აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. ამჟამად მიმდინარეობს ეტაპობრივი გადასვლა საქართველოს ენერგო სისტემაში ჩასართავად. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულს ემსახურება 5 ტრანსფორმარტორი, მოსახლეობის 75% თანახმაა საქართველოს ენერგო სისტემიდან მიიღოს ელ.ენერგია (3 ტრასპორმატორიდან), ხოლო დანარჩენი 25% თავისი სურვილისამებრ რჩება აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან მოწოდებული ელ. ენერგიაზე (2 ტრასფორმატორი), ზემოაღნიშნული მიმდინარე სამუშაოები დამთავრდება დაახლოებით 2-3 თვეში.

ხოლო საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებით კი გაცნობებთ, რომ განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა სრული დაქსელვა, მაგრამ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან მოწოდებული ელ. ენერგიის დაბალი ძაბვის გამო გადამქაჩი სადგურები ვერ მუშაობენ, შესაბამისად საქართველოს ენერგო სისტემაში ჩართვის შემდგომ მოხდება მათი ექსპლოატაციაში შესვლა.

განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში არის ორი სტადიონი, ერთი მინი საფეხბურთო მოედანი, ფრენბურთის ერთი მოედანი და ჩოგბურთის ორი კორტი, აქედან მინი საფეხბურთო, ფრენბურთის მოედნებს და ჩოგბურთის კორტებს ყოველწლიურად უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, ზღვის სანაპიროზე არსებული ერთი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს, ხოლო სოფლის ცენტრში მდებარე სტადიონის რეაბილიტაცია არ განხორციელებულა.

დარჩელი-განმუხურის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება 2017 წელს, ამჟამად კი მიმდინარეობს პროექტირება.

პატივისცემით,

გურგენ სართანია

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა